პრეზიდენტი
თომას ს. მონსონის მიერ

სხვათა გადასარჩენად ჩვენი პასუხისმგებლობა

უკანასკნელი დღეების წინდანებისთვის ამა თუ იმ მიზეზის გამო, ეკლესიაში აქტიურობის გზიდან გადასული ძმებისა და დების გადარჩენა, მარადიული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. ვიცნობთ ჩვენ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც სახარება გულში ჩაიკრეს? თუ პასუხი დადებითია, რა გვევალება ჩვენ მათ გადასარჩენად?

გაითვალისწინეთ ასაკოვანნი, დაქვრივებულნი და ავადმყოფები. ძალზედ ხშირად ისინი იმყოფებიან იზოლირებულნი გამომშრალ, მიტოვებულ უდაბნოში სახელად მარტოობა. როცა ახალგაზრდობამ ჩაიარა, ჯანმრთელობა გაუარესდა, ძალამ იკლო, იმედის სინათლე ოდნავ ბჟუტავს, მათ მხარს დაუჭერს და დაეხმარება გული, რომელმაც თანაგრძნობა იცის და ხელი, რომელიც დასახმარებლად არის გაწვდილი.

რა თქმა უნდა, არიან სხვებიც, რომელნიც დახმარებას მოელიან. ზოგი ცოდვას ებრძვის, ზოგი კი შიშით, აპათიითა და უცოდინარობით არის შეპყრობილი. ისინი რაღაც მიზეზის გამო ჩამოშორდნენ ეკლესიურ აქტიურობას. და ისინი, ალბათ ასეთ დაკარგულ მდგომარეობაში დარჩებიან, თუკი ჩვენში —ეკლესიის აქტიური წევრებში—) არ გამოიღვიძებს გადარჩენისა და ხსნის სურვილი.

ის, ვინც გზას გვიჩვენებს

ცოტა ხნის წინ მე მივიღე წერილი ადამიანისგან, რომელიც ეკლესიის გზას ჩამოშორდა. მისი მაგალითი ჩვენი უამრავი წევრისთვის ტიპიურია. მას შემდეგ, რაც აღწერა, თუ როგორ გახდა არააქტიური, მან დაწერა:

„მე იმდენი რამ მქონდა და ახლა ასე ცოტა რამ გამაჩნია. უბედურად ვგრძნობ თავს; ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ყველაფერში მარცხს განვიცდი. სახარებას არასოდეს არ მიუტოვებია ჩემი გული, თუმცა ჩემი ცხოვრებიდან იგი ამოვარდა. გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის.

„გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ თქვენს შორის მათ, ვინც დაკარგული უკანასკნელი დღეების წმინდანები არიან. მე ვიცი, სად არის ეკლესია, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მჭირდება ვიღაც, ვინც გზას მიჩვენებს, შემაგულიანებს, მომაცილებს შიშს და გამიზიარებს მოწმობას.“

როცა ამ წერილს ვკითხულობდი, გამახსენდა ჩემი სტუმრობა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამხატვრო გალერეის, ვიქტორია და ალბერტის

მუზეუმში ინგლისში, ლონდონში. იქ, დახვეწილ ჩარჩოში, 1831 წ. ჯოზეფ მელორდ უილიამ ტერნერის მიერ შექმნილი შედევრი ჰკიდია. სურათზე გამოსახულია პირქუში შავი ღრუბლები და აბობოქრებული ზღვის რისხვა, რომელიც ხიფათსა და სიკვდილს მოასწავებს. შორს მოსჩანს მეჩეჩზე შემჯდარი გემის შუქი. წინა პლანზე, აქაფებული ტალღებით ატაცებული დიდი მაშველი კანჯო. ადამიანები მთელი ძალით უსვამენ ნიჩბებს იმ დროს, როცა მაშველი კანჯო ყურყუმელაობს ტალღებში. სანაპიროზე დგანან ცოლი და ორი შვილი, წვიმისგან დასველებულნი და ქარისგან ნაგვემნი. ისინი აღელვებულნი არიან და ზღვისკენ აქვთ თვალები მიპყრობილნი. მე გონებაში შევამოკლე ამ სურათის სათაური. ჩემთვის მე მას ვუწოდე *გადარჩენისთვის.*[1]

ცხოვრების ქარიშხლებში საფრთხე იმალება. მამაკაცები და ქალები, ბიჭები და გოგოები მეჩეჩზე ჯდებიან და განადგურების წინაშე დგებიან. ვინ წაუძღვება წინ მათკენ მაშველ კანჯოს? ვინ დატოვებს უკან სახლისა და ოჯახის სიმყუდროვეს და წავა მათ გადასარჩენად?

ჩვენი დავალება დაუძლეველი როდია. ჩვენ უფლის დავალებას ვასრულებთ; ჩვენ გვაქვს უფლება მივიღოთ მისი დახმარება.

უფალმა, თავისი მსახურების დროს, მოუწოდა მეთევზეებს გალილეაში მიეტოვებინათ ბადეები და მიჰყოლოდნენ მას. მან განაცხადა: „ადამიანთა მებადურებად გაგხდით“.[2] დაე შევუერთდეთ ადამიანთა მებადურეთა რიგს, რათა დავეხმაროთ მათ, რითიც შევძლებთ.

ჩვენი მოვალეობაა – მივწვდეთ მათ, ვინც არააქტიურობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რათა მოვიყვანოთ ისინი უფლის სუფრასთან მისი სიტყვის სანადიმოდ, რათა დატკბნენ მისი სულის მეგზურობით და აღარ იყვნენ „უცხოები და მდგმურები, არამედ წმინდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი“.[3]

სიყვარულის პრინციპი

მე დავადგინე, რომ გააქტიურებასა და განწყობის, ჩვევებისა და მოქმედებების შეცვლას ორი ძირითადი მიზეზი უდევს საფუძვლად. პირველი: ადამიანი ბრუნდება, როცა ვინმე აჩვენებს მას მარადიულ შესაძლებლობებს და დაეხმარება მათ მიღწევაში. ნაკლებად აქტიურები დიდ ხანს ვერ დაკმაყოფილდებიან საშუალო დონით, თუკი ერთხელ მაინც დაინახავენ, რომ შეუძლიათ მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს.

მეორე: ადამიანები ბრუნდებიან, რადგან მათი საყვარელი ადამიანები ანუ „წმინდათა თანამოქალაქენი“ მიჰყვნენ მხსნელის რჩევა-დარიგებას— მათ შეიყვარეს მოყვასი, ვითარცა საკუთარი თავი და[4] დაეხმარნენ სხვებს, მათი ოცნებების ახდენაში და ამბიციების განხორციელებაში.

ამ პროცესში კატალიზატორი ყოველთვის იყო და იქნება— სიყვარულის პრინციპი.

რეალობაში, ტერნერის ტილოზე გამოსახული მეჩეჩზე მყოფი ადამიანები გვანან მრავალ ჩვენს ნაკლებად აქტიურ წევრებს, რომლებიც ელიან დახმარებას მათგან, ვინც მეშველ კანჯოს წინ წაუძღვება. მათი გულები მოუთმენლად დახმარებას ელიან. დედები და მამები შვილებისთვის ლოცულობენ. ცოლები ზეცას ევედრებიან თავიანთი ქმრების შველას. ზოგჯერ შვილები მშობლებისთვის ლოცულობენ.

მე ვლოცულობ იმაზედ, რომ ვიქონიოთ სურვილი – გადავარჩინოთ ნაკლებად აქტიური წევრები და დავაბრუნოთ ისინი იესო ქრისტეს სახარების სიხარულის წიაღში, რათა იგემონ ჩვენთან ერთად ის, რასაც მათ ნამდვილი ძმობა სთავაზობთ.

დაე მივწვდეთ ჩვენს ირგვლივ მყოფ დაკარგულებს: ასაკოვნებს, დაქვრივებულთ, ავადმყოფთ, ინვალიდებს, ნაკლებად აქტიურებს და მათ, ვინც არ იცავენ მცნებებს. მოდით გავუწოდოთ დახმარების ხელი და თანაგრძნობის გული. ასე რომ მოვიქცევით, ჩვენ მათ გულებს სიხარულს მოვგვრით და დიდ კმაყოფილების გრძნობას განვიცდით, რომელიც მოდის ჩვენთან მაშინ, როცა ჩვენ სხვებს ვეხმარებით მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე.

შენიშვნები

1. სურათის სრული დასახელებაა *მაშველი კანჯო და მენბაის ჟილეტი მეჩეჩზე შემჯდარი გემისკენ მიმავალი, რომელიც უბედურების ნიშანს აძლევს (ლურჯი შუქი)*
2. მათე 4:19.
3. ეფესელთა2:19.
4. იხილეთ მათე 22:39.

ამ მოწოდების სწავლება

ჰკითხეთ მათ, ვისთანაც სტუმრობთ, იცნობენ თუ არა ისინი ვინმეს, ვინც რეგულარულად არ დადის ეკლესიაში. შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ადამიანი და განიხილოთ მასთან სიყვარულის გამოხატვის ხერხები, ვთქვათ საოჯახო საღამოზე მონაწილეობის მიღება ან სადილზე დაპატიჟება.

ახალგაზრდები

ჯენი, როგორც ძღვენი

ჯოსი ს. კილპაკი

მე, მეორე კურსზე ყოფნისას, რამოდენიმე არასწორი არჩევანი გავაკეთე. ამ არჩევნებმა სერიოზული შედეგები გამოიწვია, რასაც უსიამოვნება მოჰყვა და მე გადავწყვიტე, გამომეყენებინა ზაფხულის არდადეგები ცვლილებებისთვის. როცა სწავლა განახლდა, მე ლანჩს საპირფარეშოში ან ცარიელ დერეფანში მივირთმევდი, რათა თავი ამერიდებინა იმ ცუდი ურთიერთობებისაგან, რომლებსაც ძლივს დავაღწიე თავი.

ასე მარტოდ არასდროს მიგრძვნია თავი.

შემდეგ ღმერთმა ძღვენი მიბოძა: მან ჯენი გამომიგზავნა. იგი არასდროს არ განმიკითხავდა შეცდომების გამო, პირიქით, მაგულიანებდა, სწორი მიმართულებით მევლო. იმის ცოდნამ, რომ ის სკოლაში იქნებოდა, დამეხმარა წმინდა წერილების კითხვაში და მოწმობის ზრდაში. როცა გამოშვების დრო დადგა, მე დავუმტკიცე საკუთარ თავს, რომ მზად ვიყავი ცვლილებებისათვის.

ზოგჯერ ვფიქრობ, სად ვიქნებოდი დღეს, რომ არა ჯენი? შევძლებდი ჩემი პრინციპების ერთგულებას მის გარეშე? საბედნიეროდ, ამას ვერასდროს გავიგებ, რადგან იგი მთელი გულით ჩემთან იყო მაშინ და მზად იყო დამხმარებოდა.

ავტორი ცხოვრობს იუტაში, აშშ.

ბავშვები

გადარჩენის საშუალებები

პრეზიდენტი თომას ს.მონსონი გვასწავლის, რომ ჩვენ უნდა მივწვდეთ სხვებს, მოხუცებს, დაქვრივებულებს, ავადმყოფებს, ნაკლებად აქტიურებს, მათი ჩათვლით, ვისაც დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ. იფიქრეთ ადამიანებზე, რომლებსაც იცნობთ და რომლებსაც შესაძლოა სხვების მსახურება ესაჭიროებათ.

ჩაიწერეთ ან ჩაიხატეთ დახმარების იდეები. თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ მშობლებს, თუ რა იდეები აქვთ მათ და შემდეგ, რომელიმე ამოირჩიოთ ამ კვირაში გამოსაყენებლად.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *First Presidency Message, October 2013.* Georgian 10670 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: შემოქმედი

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილის სერიათა პირველი გზავნილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ასპექტებს.

იესო ქრისტემ „შექმნა დედამიწა და ზეცა“ (3 Nephi 9:15). მან ეს გააკეთა მღვდლობის უფლებამოსილების ძალით, მამაზეციერის მითითებით (იხ. მოსე 1:33).

„რაოდენ მადლიერნი უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ბრძენმა შემოქმედმა მოგვიწყო დედამიწა და დაგვაბინავა აქ“, თქვა პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა,. . . რათა გაგვევლო გამოცდები და გვქონოდა საშუალება დაგვემტკიცებინა, რომ ღირსნი ვართ ყველაფრისთვის, რაც ღმერთმა მოგვიმზადა“.[1] როცა ღვთის მცნებების დასაცავად და მოსანანიებლად არჩევანის თავისუფლებას ვიყენებთ, ჩვენ ვხდებით ღირსნი იმისა, რომ დავბრუნდეთ მასთან საცხოვრებლად.

შექმნის თაობაზე პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხთდორფმა ასეთი რამ თქვა:

ჩვენს გამო შეიქმნა სამყარო! . . .

„ეს არის ადამიანის პარადოქსი: ღმერთთან შედარებით ადამიანი არაფერია; ჩვენ კი მაინც ყველაფერი ვართ ღმერთისთვის“.[2] იმის ცოდნა, რომ იესო ქრისტემ შექმნა ჩვენთვის დედამიწა, ვინაიდან ჩვენ მამაზეციერისთვის ყველაფერი ვართ, დაგვეხმარება გავზარდოთ ჩვენი სიყვარული მათ მიმართ.

წმინდა წერილებიდან

იოანე 1:3; ებრაელთა 1:1–2; მოსია 3:8; მოსე 1:30–33, 35–39; აბრაამი 3:24–25

ჩვენი ისტორიიდან

ჩვენ ღმერთის ხატად და მსგავსად შეგვქმნეს (იხ.მოსე 2:26–27) და ჩვენ ღვთიური პოტენციალი გაგვაჩნია. წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა ურჩია მოწყალების საზოგადოების დებს „იცხოვრეთ ისე, რომ იყოთ ღირსნი თქვენი უპირატესობისა“.[3] უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის დებს ასწავლეს ღვთიური პოტენციალის ღირსეულად ცხოვრება, რათა აღასრულონ ღვთის ჩანაფიქრი მათთვის. “როცა ისინი გაიგებენ იმას, თუ ვინ არიან ისინი სინამდვილეში —ღვთის შვილები, თანდაყოლილი სიყვარულისა და აღზრდის უნარით— ისინი აღწევენ წმინდანი ქალის პოტენციალს“.[4]

„თქვენ ახლა იმყოფებით ისეთ სიტუაციაში, როცა შეგიძლიათ იმოქმედოთ იმ თანაგრძნობის შესაბამისად, რომელიც ღმერთმა მკერდში ჩაგვიდო“, თქვა წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა. „თუ თქვენ ამ პრინციპებით იცხოვრებთ, დიდებული იქნება! თუ თქვენ უპირატესობის შესაბამისად იცხოვრებთ, ანგელოზები ვერ შეძლებენ იმას, რომ არ დაგეხმარონ“.[5]

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, “The Race of Life,” *ლიაჰონა,* მაისი 2012, 91.
2. დიტერ ფ. უხთდორფი, “You Matter to Him,” *ლიაჰონა,* ნოემბერი 2011, 20.
3. ჯოზეფ სმითი, წიგნიდან *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 171.
4. *Daughters in My Kingdom,* 171.
5. ჯოზეფ სმითი, *Daughters in My Kingdom,* 169.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ ზრდის ჩვენი ღვთიური ბუნების გააზრება, მხსნელის მიმართ სიყვარულს?

2. როგორ შეგვიძლია გამოვხატოთ მადლიერება ღმერთის ქმნილებებისათვის?

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *Visiting Teaching Message, October 2013.* Georgian 10670 131